დანართი

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლისპროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი: 20 000(ოცი ათასი) ლარი.**
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში – არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.
6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა)თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები,რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებმაც ისარგებლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით) და თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ იმყოფება საცხოვრებლის გარეშე.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ;

ე) ქირავნობის ხელშეკრულება 1 წლის ვადით.

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრების შესახებ.

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებულია მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება.

თ) ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში თავშესაფრით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ი)ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.(მესამე მუხლის ,,ა'' პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში)

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას რეკომენდაციის მომზადების მიზნით განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2.სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი